

eAuction.ge

ქონების შეძენის სახელმძღვანელო ელექტრონული აუქციონის
მომხმარებლებისათვის

2016

როგორ შევიძინო ნივთი eauction.ge-ზე

ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა:

1. დარეგისტრირდეთ ვებგვერდზე www.eauction.ge;
2. რეგისტრაციის შემდეგ გაიაროთ ავტორიზაცია;
3. აირჩიოთ სასურველი ლოტი;
4. გადაიხადოთ ამორჩეულ ლოტში მითითებული საგარანტიო თანხა;

14:49:25

eauction.ge

საქართველო GE

სასაბინაო

ძიება

შედეგები ძიება

პარტნიორები

კატეგორია: საკომუნიკაციო საშუალებები > მობილური ტელეფონები

გაყიდვის ტიპი: e-აუქციონი

ინფორმაცია გამყიდველზე

დასახელება: მობილური ტელეფონი iPhone 5s

რეიტინგი: ★★★★★ (0 ადამიანი)

განაცხადის #: 3977AC216

აუქციონის #: 3977

ლოტის #: 2

რაოდენობა: 1 ცალი

მეტრიკოდი: 2000002275039

დარჩენილი დრო: 5-დ 22:10:34

დაწყება/დასრულება: 26/07/2016 13:00 - 01/08/2016 13:00

ლოტის სტატუსი: მიმდინარე

ნახვა: 32 უჯრ

მიმდინარე ფასი: 135.20 ლ

თქვენი ფასი: 137.80 ლ

ბიჯი: 2.60

მიმდინარე ფასი: 2 ბიჯი

საწყისი ფასი: 130 ლ

ვაჭრობის ბიჯი: 2.6 ლ

საგარანტიო თანხა: 39 ლ

თვისებები / აღწერილობა ინფორმაცია გადახდებზე დანიშნულება წესები და პირობები ივანჭრეთ მარტივად

საგარანტიო თანხის გადახდის საშუალებები:

- ა) ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდა;
- ბ) პლასტიკური ბარათით გადახდა;
- გ) eMoney ელექტრონული საფულით გადახდის მეთოდი;
- დ) ელექტრონული საბანკო გადარიცხვით გადახდა;
- ე) ელექტრონული საბანკო გარანტიით გადახდის მეთოდი;

საგარანტიო თანხის გადახდის შემთხვევაში, თქვენს მიერ რეგისტრაციისას მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მოგივით მოკლე ტექსტური შეტყობინება შესაბამისი თანხის აქტივაციის შესახებ.

1. ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდა

რეგისტრირებულმა მომხმარებელმა „ლიბერთი ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში წარადგინეთ ლოტის განაცხადის ნომერი და პირადობის დამადასტურებელ მოწმობა. (იურიდიული პირის შემთხვევაში დამატებით წარადგინეთ ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი).

2. eMoney ელექტრონული საფულით გადახდის მეთოდი

თუ თქვენ გაქვთ eMoney-ის ელექტრონული საფულე, თქვენ შეძლებთ მისი გამოყენებით აუქციონზე საგარანტიო თანხის გადახდას. გადადით ამორჩეული ლოტის ჩანართში - „საგარანტიო თანხის გადახდა“, დააჭირეთ სიტყვას (ბმულს) „გადახდა“ და ისარგებლეთ emoney-ის ელექტრონული საფულით.

3. ელექტრონული საბანკო გადარიცხვით გადახდა

ელექტრონულ საბანკო გადარიცხვას განხორციელებთ ინტერნეტ ბანკის საშუალებით. გადადით ამორჩეული ლოტის ჩანართში - „დანიშნულება“, სრულად მონიშნეთ მოცემული დანიშნულების ტექსტი და დააკვირეთ უნაღდო გადარიცხვის დანიშნულების ველში მითითებულ სააგენტოს ანგარიშის ნომერზე. ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს აუქციონის დასრულებამდე არაუგვიანეს 28 საათისა. თქვენი საბანკო ანგარიშიდან იგივე ოპერაციის განხორციელებას შეძლებთ საბანკო დაწესებულებაში ვიზიტითაც.

უნაღდო ანგარიშსწორება

დააკვირეთ დანიშნულება:

COPY

უნაღდო ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს შემდეგ ანგარიშის ნომერზე.

მიმღების დასახელება: სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“

მიმღები ბანკი სს „ლიბერთი ბანკი“

ბანკის კოდი LBRTGE22

ანგარიშის ნომერი GE16LB0121192433146005

თანხის გადარიცხვა უნდა განხორციელდეს აუქციონის დასრულებამდე ან/და აუქციონის დასრულებიდან გადახდის ბოლო ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 28 საათისა. გთხოვთ, აგრეთვე გაითვალისწინოთ რომ 28 საათის ათვლა მოხდება სამუშაო დღეების გათვალისწინებით.

4. ელექტრონული საბანკო გარანტიით გადახდის მეთოდი

ელექტრონული საბანკო გარანტიის გააქტიურებით შესაძლებელია მხოლოდ საგარანტიო თანხის გადახდა იმ ლოტებზე, რომლებზეც დაწესებულია ელ საბანკო გარანტიის მინიმალური ვადები. ელ. საბანკო გარანტიის მიმღები და აუქციონში მონაწილე პირი უნდა

იყოს ერთი და იგივე. საბანკო გარანტიის მიღებას შეძლებთ ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში და მისი გააქტიურებისათვის დაგჭირდებათ დოკუმენტში დაფიქსირებული გარანტიის ნომერი და PIN კოდი.

5. პლასტიკური ბარათით გადახდა

გადადით ამორჩეული ლოტის ჩანართში - „საგარანტიო თანხის გადახდა“, დააჭირეთ სიტყვას (ბმულს) „გადახდა“, აირჩიეთ სასურველი ბანკი, შეავსეთ მონაცემები და დააჭირეთ ღილაკს "გადახდა".

The screenshot shows the payment interface on the eAuction.ge website. At the top, the logo "eAuction.ge" is displayed. Below it are the logos for VISA and MasterCard. The form contains the following fields and elements:

- ობიექტი** (Object): eAuction.ge
- შეკვეთის ნომერი** (Order number): 7599323
- დანიშნულება** (Purpose): ORDER N
- თანხა** (Amount): 51.46 ლარი
- ბარათის მფლობელი** (Cardholder name): [Empty field]
- ბარათის ნომერი** (Card number): [Empty field]
- ბარათის მოქმედების ვადა** (Card validity): Month [Dropdown] Year [Dropdown]
- CVV2/CVC2** (Security code): [Empty field]
- Security code display:** 8879 [Refresh button]

At the bottom of the form, there are two buttons: "გადახდა" (Pay) and "გაუქმება" (Cancel). Below these buttons are three security logos: "Secured by thawte" (with a date of 2016-03-24), "Verified by VISA" (with a "learn more" link), and "MasterCard SecureCode" (with a "learn more" link).

ვაჭრობის პროცესის მიმდინარეობა

საგარანტიო თანხის გადახდის შემდეგ თქვენ უფლება გეძლევათ ღილაკზე „დადება“ დაჭერით დააფიქსიროთ თქვენი ბიჯი (აგრეთვე, შეგიძლიათ ისრის აწევით (+1,+2,+3..ა.შ) მიუთითოთ თქვენთვის მისაღები, რამდენჯერმე გაზრდილი ბიჯი და დააჭიროთ დადება).

მიმდინარე ფასი: 45.90 ლ
თქვენი ფასი: 46.75 ლ
ბიჯი: 0.85

დადება

LB მსკაინს ბანკსა და საკრედიტო ბანკსა და

ფასის ისტორია: 4 ბიჯი [ბიჯების ოდენობა](#)

საწყისი ფასი: 42.50 ლ

ვაჭრობის ბიჯი: 0.85 ლ

საგარანტიო თანხა: 12.75 ლ

საბანკო გარანტიის მინ. ვადა: 22.05.2016

ბიჯის განხორციელების შემდეგ აისახება ფასი და სისტემა გიწერთ "თქვენი ბიჯი ბოლოა". იმ შემთხვევაში, თუ სხვა მონაწილე ჩაერთვება აუქციონში და გადაგიზრდით თანხას, ბიჯების რაოდენობა გაიზრდება, ხოლო სისტემა, დაგიწერთ "თქვენი ბიჯი არ არის ბოლო". „ბიჯების ოდენობაში“ იხილავთ/გაეცნობით – მონაწილეთა რაოდენობას და ბიჯების განხორციელების საათობრივ და წუთობრივ თანმიმდევრობას.

ელექტრონულ აუქციონში იმარჯვებს მომხმარებელი, რომელიც აუქციონის დასრულებამდე დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს. თუ ბიჯის დადება მოხდება აუქციონის ვადის ამოწურვამდე 2 წუთით ადრე, მაშინ აუქციონის დასრულებამდე დარჩენილ დროს ემატება 2 წუთი და ასე გრძელდება ვაჭრობის საბოლოოდ დასრულებამდე. თქვენი გამარჯვების შემთხვევაში, ვაჭრობის დასრულებისას გამოვა შეტყობინება - „თქვენ გაიმარჯვეთ აუქციონში“, ხოლო, დამარცხების შემთხვევაში - „თქვენ ვერ გაიმარჯვეთ აუქციონში“. როგორც გამარჯვებულ, ასევე დამარცხებულ მონაწილეს ელექტრონულ ფოსტასა და მობილური ტელეფონის ნომერზე

გაეგზავნება შესაბამისი შეტყობინება. გამარჯვებულს ელექტრონული ფოსტის მისამართზე ეგზავნება დეტალური ინფორმაცია ლოტის დარჩენილი ღირებულების გადახდასა და შემდგომი პროცედურების შესახებ.



გამარჯვების შემთხვევაში საგარანტიო თანხა ჩაგეთვლებათ საბოლოო ანგარიშსწორებისას. იმ შემთხვევაში, თუ ლოტზე გაიმარჯვებს სხვა მომხმარებელი, გადახდილი საგარანტიო თანხა დაგიბრუნდებათ უკან. (საგარანტიო თანხის დაბრუნების შემთხვევაში იხილეთ გამყიდველი ორგანიზაციის “წესები და პირობები“)